ქირავნობის ხელშეკრულება №84

ჩოხატაური „13“ ივლისი 2016 წ.

ერთის მხრივ ფ.პ გიორგი დოლიძე (პ.ნ 46001001087) შემდგომში „გამქირავებელი და მეორეს მხრივ ააიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური სხივი-ს დირექტორი მერაბ დოლიძე შემდგომში “დამქირავებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 გამქირავებელი გადასცემს დამქირავებელს დროებით სარგელობაში კურორტ ბახმაროში ამბულატორიის ქ №15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს (მ.შ 3 საძინებელი, 1 სამზარეულო, 1 სააბაზანო) თავისის ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით რომლის საერთო ფართია 62 კვ/მ რომელიც აძლევს საშუალებას დამქირავებელს ისარგებლოს აღნიშნული ფართით წინამდებარე ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

(CPV კოდი 70130000

2. ხელშეკრულების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2 თვით და ძალაშია 2016 წლის 13 ივლისიდან 2016 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით საცხოვრებელი სახლის ქირის საერთო თანხა განისაზღვროს სულ **2000 ლარის** ოდენობით. (თვეში 1000 ლარი),

2.3 ქირა გადაიხდევინება წინასწარ სრული თანხით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

2.4 ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე აღნიშნული ქირის თანხიდან ვალდებულებას იღებს დამქირავებელი

2.5. დამქირავებელს გამქირავებელთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადააკეთოს ქონება ან არსებითად შეცვალოს იგი.

2.6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე დამქირავებლის მხრიდან ნაქირავები ქონების გადაკეთების ან არსებითი შეცვლის სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნულს მხარეები აფიქსირებენ ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტში.

2.7 გამქირავებელს არა აქვს უფლება ქირავნობის ვადის განმავლობაში ქონება დროებით სარგებლობაში გადასცეს მესამე პირს

2.8 ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

2.9 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში დამქირავებელი იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 5%–ის ოდენობით,ხოლო თუკი ასეთი გადაუხდელობა გრძელდება 1 თვეს ,გამქირავებელი უფლებამოსილია,მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამქირავებელს ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.10 გამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს მიმდინარე კომუნალურ გადასახადები.

3. ქონების მოვლა

3.1 დამქირავებელი ვალდებულია იზრუნოს ქონების სათანადოდ მოვლისათვის;

3.2 დამქირავებელი პასუხს არ აგებს ქონების ისეთ ცვლილებებისა და გაუარესებისათვის, რაც წარმოიშვა მისი სათანადოდ გამოყენების შედეგად.

4 დავათა გადაწყვეტა:

4.1 ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

4.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

4. მხარეთა რეკვიზიტები:

გამქირავებელი	**დამქირავებელი**
დასახელება; გიორგი დოლიძე	დასახელება; კომუნალური სამსახური „სხივი“
ს/კ 46001001087	ს/კ 242008796
მის: ჩოხატაური რუსთაველის 12	მის:ჩოხატაური კოსტავას 1 შეს. #11
ბანკი: ს.ს „ლიბერთი ბანკი“	ბანკი:ს/ს ლიბერთი ბანკი
ანგ.ნომ:GE06LB07111092941174	ანგ.ნომ:GE65LB0115152725113000
ტელ: 595 48 79 56	ტელ:599 58 10 50

კურორტ ბახმაროში საცხოვრებელი სახლის დროებით გადმოცემის

მიღება-ჩაბარების აქტი №74

ჩოხატაური *13 ივლისი 2016 წელი*

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი“ შემდგომში **„დამქირავებელი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მერაბ დოლიძის** სახით და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი გიორგი დოლიძე** შემდგომში **„გამქირავებელი“**

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 13 ივლისის №84 ხელშეკრულების საფუძველზე **„დამქირავებელმა“** მიიღო ხოლო **„გამქირავებელმა“** მას მიაწოდა:

კურორტ ბახმაროში ამბულატორიის ქუჩა 15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (მ.შ 3 საძინებელი, 1 სამზარეულო, 1 სააბაზანო) თავისი ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით რომლის საერთო ფართია 62 კვ/მ .

დაქირავებული საცხოვრებელი სახლის ქირის ღირებულება შეადგენს 2000 (*ორიათასი*) *ლარი*

ჩააბარა:

1. ფ/პ გიორგი დოლიძე: გ. დოლიძე

მიიღო:

2. „სხივის“ დირექტორი: მ. დოლიძე